მარიანა ქევხიშვილი •

17 მაისი: ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასან ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ••

აბსტრაქტი

საქართველოში ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს 17 მაისს ძალადობის დაგმობისა და ლგბტქი+ ადამიანების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით აღნიშნავენ. თუმცა, ძირითადად ის ძალადობრივ ქმედებებს უკავშირდება და საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანების უსაფრთხოებას.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოში 17 მაისის, ტრანსფობიის, ჰომოფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშნვის პრაქტიკა საქართველოში.

საქართველოში 17 მაისის აღნიშნვის მცდელობა 2009 წლიდან იწყება, ხოლო 2012 წელს პირველად გაიმართა აღსანიშნი მსვლელობა. 2013 წლის მსვლელობა გარდამტეხი აღმოჩნდა ამ თარიღის აღნიშნვის პროცესში. რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ლგბტქი+ ადამიანებს სასულიერო პირები და მათი მრევლი ფიზიკურად დაუპირისპირდა და დაარბია. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო იქ შეკრებილი ადამიანების უსაფრთხოება, გამოხატვის თავისუფლება, შემდეგ კი არ იზრუნა დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯაზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა. მომდევნო წლებში

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 30 ივნისს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“

ლგბტქი+ თემის წარმომადგენლები ვეღარ ახერხებენ საჯაროდ შეკრებასა და აზრის გამოხატვას უსაფრთხოების არ არსებობის გამო. იმ მცირე აქციებისა და ღონისძიებების ჩატარების ადგილს, რომელსაც აწყობენ 17 მაისის აღნიშნვის ფარგლებში, მედიისა და მხარდამჭერებისთვის რამდენიმე საათით ადრე ასაჯაროებენ.

დღემდე მთავარ პრობლემად რჩება სახელმწიფოს არათანმიმდევრული და გაუაზრებელი პოლიტიკა ამ პროცესების მიმართ, რის გამოც არ ხორციელდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების რღვევას.

საკვანძო სიტყვები: 17 მაისი, ლგბტქი+, დისკრიმინაცია, საქართველო.

ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე დაარსდა 2004 წელს, რათა გაიზარდოს ცნობიერება იმ ძალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ, რომელსაც განიცდიან ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და ყველა სხვა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მქონე პირები. (May 17, 2022). ამასთანავე ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან, ინტერფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე (IDAHOBIT) აღნიშნავს LGBTQIA+ ადამიანებს და ამაღლებს ცნობიერებას დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებული საჭირო სამუშაოს შესახებ. (IDAHOBIT, 2020).

თარიღი 17 მაისი სპეციალურად შეირჩა, რადგან აღნიშნავს დღეს, როდესაც 1990 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება ჰომოსექსუალობა ამოეღო ფსიქიკური აშლილობის დაავადებების ნუსხიდან. (May 17, 2022). 17 მაისი დღეს 130-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება, მათ შორის 37 ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთნაირ სქესიანთა ქმედებები უკანონოა. ეს დღე განსაკუთრებით

აღინიშნება ევროპასა და ლათინურ ამერიკაში, სადაც ტარდება საჯარო ღონისძიებები თითქმის ყველა ქვეყანაში. (dayagainshomophobia, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება პროგრესის ნიშნები მთელ მსოფლიოში, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაცია კვლავ გრძელდება და ლგბტქი პირების უფლებების დარღვევა და მათ მიმართ ძალადობის დონე კვლავ საგანგაშოა. (The European Council, 2022).

ლგბტქი იდენტობები და პრაქტიკა ზოგადად არ არის მიღებული ქართულ საზოგადოებაში, რომელზეც დიდი გავლენას ახდენს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. (Council of Europe, 2011).

საქართველოში ამ დღის აღნიშვნის მიზანს ძალადობის დაგმობა და ლგბტქი+ ადამიანების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა წარმოადგენს. თუმცა, ძირითადად ის ძალადობრივ ქმედებებს უკავშირდება და საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანების უსაფრთხოებას.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოში 17 მაისის, ტრანსფობიის, ჰომოფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვის პრაქტიკა საქართველოში. საკვლევი კითხვაა: როგორ აღინიშნება საქართველოში ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე?

ნაშრომში კონტენტ ანალიზის საშუალებით განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებები და ანგარიშები და ქართული პრესა.

საქართველოში 17 მაისის, როგორც ტრანსფობიისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის შესახებ საუბარი პირველად 2009 წელს დაიწყო, როდესაც 20 მაისს „ჰაინრიხ ბიოლის ფონდში“ გაიმართა დისკუსია „ჰომოფობია: პირადიდან - სა-

ჯარო სივრცემდე“, მასში მონაწილეობას იღებდა ფონდი INCLUSIVE, ერთ-ერთი ქართული ლგბტ არასამთავრობო ორგანიზაცია. თუმცა, დებატები შეწყდა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრების შემოჭრით. (May 17, 2009).

2011 წელს 17 მაისს, გაიმართა ღონისძიება „გეი-თბილისი ჰომოფობიის წინააღმდეგ“. მონაწილეებმა მტკვარში სანთლები და ყვავილები გაუშვეს, ჰომოფობიის მსხვერპლთა ხსოვნის საპატივსაცემოდ. (May 17, 2011).

2012 წელს კი პირველი IDAHO მსვლელობა გაიმართა თბილისში. დაახლოებით 20 აქტივისტი შეუერთდა მარშს ცისარტყელას დროშებით და პლაკატებით: (May 17, 2012) „მე ვარ გეი“, „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი“, „სიყვარული სიყვარულია“. (ინდიგო, 2019). ამ დღეს ლგბტქი+ აქტივისტებმა მსვლელობა ფილარმონიდან დაიწყეს და თავისუფლების მოედნამდე მისვლას გეგმავდნენ, თუმცა, ამის საშუალება რადიკალურმა ჯგუფების - "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა" და "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის კავშირის" წევრებმა არ მისცეს. ლგბტ თემის წარმომადგენლებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. 3 ლგბტ აქტივისტი დააკავეს მას შემდეგ, რაც მათ რუსთაველის გამზირის გადაკეტვა სცადეს. (ტაბულა, 2020).

მიუხედავად ამისა, ამ დღეს გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მთავრობის ოფიციალური პირები და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები. ასევე გაიმართა სემინარი მედიისთვის ლგბტ უფლებების შესახებ, ფოტო გამოფენა და ღონისძიება სახელწოდებით „ქართველი მწერლები ჰომოფობიის წინააღმდეგ“. (May 17, 2012).

2013 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია „17 მაისი“ წერს, რომ ყველაზე ცუდი ანგარიში ძალადობის მხრივ საქართველოდან მიიღეს. 17 მაისის მოვლენები საერთაშორისო პრესის მთავარი სიახლე გახდა.

ამ დღეს ორგანიზაცია “იდენტობამ” და ლგბტ აქტივისტებმა რუსთაველის გამზირზე აქცია დაგეგმეს. თუმცა, ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა, მათ შორის, “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა” შეკრება წინა ღამით დაიწყო. აქციას მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ ქორეპისკოპოს იაკობის მეთაურობით და ადგილზე მათი მრევლის ათასობით წარმომადგენელი იყო. ისინი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ. მათი მიზანი არა ლგბტქ აქციის ჩაშლა, არამედ ფიზიკური ანგარიშსწორება იყო. (ტაბულა, 2020).

მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა და მათმა მრევლმა გაარღვიეს პოლიციის ორგანიზებული ცოცხალი ჯაჭვი და ლგბტქ აქცია ძალადობრივად ჩაშალეს. აქტივისტები პოლიციამ ყვითელი ავტობუსებით გაიყვანა, თუმცა, შეკრებილები ძალადობას აგრძელებდნენ - ავტობუსებს ქვებს ესროდნენ.

2015 წლის 12 მაისს ევროსასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ 2013 წლის 17 მაისს სახელმწიფომ დაზარალებულების მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ის მუხლები დაარღვია, რაც წამების აკრძალვას, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვას გულისხმობს. (ინდიგო, 2019). მთავრობას მოსარჩელეებისთვის საერთო ჯამში 193 500 ევროს გადახდა დაეკისრა. (Civil.ge, 2021).

2014 წელს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის საშუალება აღარ მისცა აქტივისტებს. **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა.** (ტაბულა, 2020).

ლგბტ თემის წევრები, საფრთხის გამო, ამ დღეს ქუჩაში არ გამოსულან. თუმცა

18 მაისს ფლეშმობით აღნიშნეს IDAHOT: პუშკინის სკვერში „პროტესტის“ ნიშნად 100-ზე მეტი ფეხსაცმელი დადეს - „უხილავთა სახელით უხილავობის წინააღმდეგ“ (May 17, 2014).

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. (ნეტგაზეთი 2022). თუმცა ეს კანონი დღემდე ვერ იცავს ლგბტ თმის წევრებს.

2013 წლის შემდეგ ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებს 17 მაისის ღიად აღნიშნვის შესაძლებლობა აღარ მისცემიათ, ისინი მცირე აქციებს და სხვადასხვა ღონისძიებებს აწყობენ, რომლის ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ საჯაროდ დაანონსებული არ არის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

მხოლოდ 2017 წელს, პირველად უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვით 17 მაისის აქცია ჩატარდა. (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2018). **ეს დღე** ლგბტქ აქტივისტებმა კანცელარიასთან აღნიშნეს. ისინი საგანგებოდ მობილიზებული სამართალდამცველებით იყვნენ გარშემორტყმული. ადგილზე პოლიციის დახმარებით, ყვითელი ავტობუსებით მიიყვანეს და ტერიტორიიდანაც ასე გაიყვანეს. აქცია ფარულად დაიგეგმა. (ინდიგო, 2019).

კორონავირუსის პანდემიის გამო ჰომოფობიასათან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, "თბილისი პრაიდმა" 2020 და 2021 წელს მხოლოდ ონლაინაქციები გამართა. საპატრიარქომ კი ფეხით მსვლელობა გააუქმა და მღვდლებმა თბილისის ქუჩები მანქანებიდან აკურთხეს. (ფორმულა, 2021).

როგორც ვხედავთ მიუხედავად ლგბტქი+ ადამიანების მცდელობისა, აღნიშნონ 17 მაისი, რათა საზოგადოებაში ამაღლდეს ცნობიერება მათ მიმართ დისკრიმინაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ,

მათთვის უფრო და უფრო რთული ხდება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებებით სარგებლობა.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებებსა და ანგარიშებშია მითითებული, არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების საპასუხოდ, სახელმწიფოს მიერ ლგბტქი პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები კვლავ მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017 წ.). სახელმწიფოს ფაქტობრივად ამ დრომდე არ გააჩნია მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების სისტემური ხედვა (2019).

ამასთანავე საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გამო, ლგბტ+ პირები ვერ სარგებლობენ შრომის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების დაუბრკოლებელი უფლებებით. (2019). მაგალითად, ჯანდაცვის სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ტრანსგენდერთა საჭიროებებზეა მორგებული. (2018) პრობლემურია თემის წარმომადგენელთა მიერ უძრავი ქონების ქირავნობასთან დაკავშირებული საკითხები (2018).

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში გაიზარდა ლგბტ+ თემის ხილვადობა და შემცირდა საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული განწყობები, სახელმწიფოს სამართლებრივი უმოქმედობა ახალისებს ლგბტ+ ადამიანების მიმართ უთანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ვერ აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს და დაუცველს ტოვებს მათ ძალადობისა და დისკრიმინაციის პირისპირ. (2022).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სახალხო დამცველი. (17.05.2022). საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 18.06.2022. https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-homofobiis-transfobiis-da-bifobiis-tsinaaghmdeg-brdzolis-saertashoriso-dghestan-dakavshirebitსაქართველოს სახალხო დამცველი. (17.05.2020).
2. სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 16.06.2020- https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-homofobiastan-transfobiastan-da-bifobiastan-brdzolis-saertashoriso-dghestan-dakavshirebit
3. საქართველოს სახალხო დამცველი. (17.05.2019). განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 15.06.2020. https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/gantskhadeba-homofobiasa-da-transfobiastan-brdzolis-saertashoriso-dghestan-dakavshirebit
4. საქართველოს სახალხო დამცველი. (16.05.2018). საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 15.06.2022 https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-homofobiasa-da-transfobiastan-brdzolis-saertashoriso-dgestan-dakavshirebit
5. საქართველოს სახალხო დამცველი. (17.05.2017). საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. 15.06.2022 https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-homofobiasa-da-transfobiastan-brdzolis-saertashoriso-dgestan-dakavshirebit

6. საქართველოს სახალხო დამცველი. (01.04.2017). საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2016 წელი. 14.06.2022
7. https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-angarishi-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxeb-2016-weli
8. ტაბულა. (17.05.2020). 17 მაისის 9 წელი საქართველოში. 14. 06.2022. https://tabula.ge/ge/news/646487-17-maisis-9-celi-sakartveloshi
9. ფორმულა. (17.05.2021). 10 კადრი და 10 წელი- როგორ მიიტაცეს 17 მაისი. 25.06.2022 https://formulanews.ge/News/50484
10. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. (23.05.2018). კიდევ ერთხელ 17 მაისის შესახებ. 23.06.2022 https://wisg.org/ka/news/detail/178/კიდევ-ერთხელ-17-მაისის-შესახებ
11. გვაძაბია, მ. (17.05.2022). 9 წელი 17 მაისის დარბევიდან: ლგბტ თემი ისევ გამოხატვივის თავისუფლებისთვის იბრძვის. *ნეტგაზეთი.* 23.06.2022 - https://netgazeti.ge/news/611007/
12. ჯალაღანია, ლ. (2019). პროცესი. *ინდიგო.* 14.06.2022 https://indigo.com.ge/articles/procesi-lika-jalaghania
13. Council of Europe. (20.06.2011) Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity Sociological Report: Georgia. 19.06.2022. https://rm.coe.int/09000016809cba7d
14. Dayagainsthomophobia. (2013) Learning and Strategising in Europe. 10.06.2022. https: //web.archive.org/web/20131007233458/http://dayagainsthomophobia.org/reports/

15. IDAHOBIT. ABOUT MAY 17. 12.06.2022. https://www.idahobit.org.au/index.php/get-active/the-stats
16. May 17. What is May 17? 14.06.2022 https://may17.org/about/
17. May 17. (07.2009). Annual Report 2008-2009. 13.06.2022
18. https://may17.org/wp-content/uploads/2019/04/Annual-Report-IDAHO-2008-09-final-ok.pdf
19. May 17. (2011). Annual Report 2011. 13.06.2022 https://may17.org/wp-content/uploads/2019/04/IDAHO2011-final.pdf
20. May 17. (2012). Annual Report 2012. 13.06.2022. https://may17.org/wp-content/uploads/2019/04/2012AnnualReport.pdf
21. May 17. (2013). Summary Report 2013. 13.06.2022. https://may17.org/wp-content/uploads/2019/04/Summary-report-IDAHO2013.pdf
22. The European Council. (16.05.2022). International Day Against Homophobia, Transphobia and Biphobia, 17 May 2022: Declaration by the High Representative on behalf of the European Union. 20.06.2022. https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/05/16/international-day-against-homophobia-transphobia-and-biphobia-17-may-2022-declaration-by-the-high-representative-on-behalf-of-the-european-union/

Mariana Kevkhishvili

May 17: International day against Homophobia, Transphobia and Biphobia in Georgia

Abstract

The International Day against Homophobia, Transphobia, and Biphobia is observed in Georgia on May 17 to condemn violence and express solidarity with LGBTQI+ people. However, it is primarily associated with violent actions that endanger people's safety.

The purpose of this paper is to investigate Georgia's practice of commemorating May 17, the International Day against Transphobia, Homophobia, and Biphobia.

Attempts to commemorate May 17 in Georgia began in 2009, and the first May 17 march was held in 2012. The month of March 2013 proved to be a watershed moment in the process of commemorating this date. Clergymen and parishioners confronted and dispersed the LGBTQI+ people who had gathered on Rustaveli Avenue. The state failed to ensure the safety of those gathered there, as well as their freedom of expression, and then failed to identify and punish the criminals.

The Catholicos-Patriarch of Georgia, Ilia II, declared May 17 to be the day of family sanctity.

Due to a lack of security, members of the LGBTQI+ community were unable to gather publicly to express their views in the next coming years. The locations of small rallies and events organized as part of the May 17 celebrations are usually announced to the media and supporters a few hours in advance.

To this day, the main issue is the state's inconsistent and ill-considered policy toward these processes, which is why measures aimed at raising public awareness, which would help to break existing stereotypical attitudes, are not implemented.

Key words: May 17, LGBTQI+, Discrimination, Georgia.